



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 18 ივნისი

დისციპლინური საქმე №19/20-2  
მოსამართლე ----- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის თაობაზე

----- 2020 წლის 20 თებერვლის №19 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე ----- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 28 თებერვლის №164/19-03 წერილით მოსამართლე მოსამართლე ----- ეცნობა №19 საჩივრის საფუძველზე მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების ასლების გამოთხოვა. საქმის მასალების განმეორებით გამოთხოვა განხორციელდა ასევე 2020 წლის 10 ივნისის №265/18-03 წერილით.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

**1.1.** საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე ----- არასწორად მიიჩნია მესამე პირად პირი, რომელიც სარჩელში იყო მითითებული მოპასუხედ. ----- მტკიცებით, ეს საკითხი არ არის მოსამართლის გადასაწყვეტი. მიუხედავად იმისა, რომ მხარემ შეავსო ხარვეზი, 12 დღის შემდეგ მოსამართლემ მაინც უარი უთხრა სარჩელის ავტორს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. ----- სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ სარჩელზე არ იყო დართული შესაბამისი მტკიცებულებები. სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე მოსამართლე უნდა ამოწმებდეს სარჩელის ფორმალურ მხარეს, ხოლო მტკიცებულებათა მატერიალური შესაბამისობა უნდა დადგინდეს საქმის არსებითი განხილვისას.

**1.2.** საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლეს არ სურს საქმის განხილვა და საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. ეს შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რომ მოსამართლე დაკავშირებულია მოპასუხე მხარესთან.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2019 წლის 24 სექტემბერს -----, ----- და ----- წარმომადგენელმა ----- სარჩელით მიმართა ----- რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების, -----, ----- და ----- მიმართ და ----- გაცემული სამკვიდრო მოწმობის და ამ

მოწმობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ----.

2019 წლის 26 სექტემბრის განჩინებით ხსენებულ სარჩელზე დადგინდა ხარვეზი (საქმე ----; მოპასუხეები: ---- და ----, მესამე პირი: ----), სარჩელში სრულყოფილად არ იყო მითითებული ფაქტები, გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებდა თავის მოთხოვნას. სარჩელის შესაბამის გრაფაში არ იყო მითითებული მოთხოვნის სამართლებრივი დასაბუთება. გარდა ამისა, დასაზუსტებელი იყო სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეები. მოსამართლე ასევე აღნიშნავდა, რომ შესაძლოა, საქმე საერთოდ არ ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი და სამომავლოდ (ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში), მომხდარიყო მისი სამოქალაქო სამართლებრივი წესით განხილვა.

2019 წლის 07 ოქტომბერს მოსარჩელების წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა ხარვეზის შევსების დამადასტურებელი განცხადება. ---- ასევე აღნიშნავდა, რომ დიდწილად ეთანხმებოდა განსაჯადობის შესახებ მოსამართლის მსჯელობას.

2019 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (საქმე ----; მოპასუხეები: ---- და ----, მესამე პირი: ----) ---- რაიონული სასამართლოსათვის სარჩელის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაცემის შესახებ. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ----.

---- რაიონული სასამართლოს 2019 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელებს უარი ეთქვათ სარჩელის განსახილველად მიღებაზე, სასარჩელო მოთხოვნა იყო ბუნდოვანი და საჭიროებდა დაზუსტებას. გარდა ამისა, დასაზუსტებელი იყო მოპასუხეთა წრე. ასევე, სარჩელს არ ახლდა სახელმწიფო ბაჟის სათანადო ოდენობით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

დისციპლინური სამართალწარმოება, ვერ იქნება განხილული როგორც ზემდგომი ინსტანცია და ვერ მოხდება მსჯელობა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე. დისციპლინური წარმოების ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინური გადაცდომების შესახებ არსებული

სავარაუდო ფაქტების შეფასება და ის ვერ შეცვლის მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ანგარიშის შესაბამისად (CommDH(2012)10, 23.02.2012) „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80).

დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორი არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (შემდეგში სასკ) მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, „მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.“

სასკ-ის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.“ იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.“

სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 447-ე მუხლის მიხედვით, თუ არსებობს შესაბამისი საფუძველი, „... სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად.“

სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, „სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით.“

სსსკ-ის 178-ე მუხლში ამომწურავადაა მითითებული ის ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს სარჩელი. ამავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველის ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, ხოლო ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.

სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში მითითებული პირობების დარღვევით.

სსსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, „სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას.“

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლე ----- მიიღო განჩინებები სარჩელზე ხარვეზის დადგენის, საქმის განსჯადი სასამართლოსათვის გადაცემის და სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მოსამართლე უფლებამოსილი იყო მიეღო ხსენებული განჩინება და ამდენად, ის მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების შინაარსი სრულადაა დამოკიდებული მოსამართლის შენაგან რწმენაზე. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ----- 2020 წლის 20 თებერვლის №19 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე ----- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.
2. გაგრძელდეს №19/20 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე ----- მიმართ, საჩივარში მითითებული დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**